

კავშირი შფოთვის დონესა და დამოუკიდებლობის ხარისხს შორის
მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებში სსიპ თბილისის 202-ე
საჯარო სკოლის მაგალითზე

ნათია წიფურია ნინო ქართველიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ მიქიაშვილი, სპეციალური განათლების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს მიერ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ და/ან გამოსაქვეყნებლად მიღებულ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული/ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია წიფურია
ნინო ქართველიშვილი

21.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ქ. თბილისის 202-ე საჯარო სკოლაში (უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონი) ჩატარებულ კვლევას. საკვლევ საკითხს წარმოადგენს „კავშირი შფოთვის დონესა და დამოუკიდებლობის ხარისხს შორის მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებში, სსიპ თბილისის 202-ე საჯარო სკოლის მაგალითზე“. ამ სფეროში ძალიან ცოტა კვლევაა ჩატარებული. სწორედ ამიტომ საკითხის მეცნიერული შესწავლის საჭიროება დიდია. ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, იმის დადგენა, არსებობს თუ არა კავშირი შფოთვის დონესა და დამოუკიდებლობის ხარისხს შორის მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებში. ასევე, იმის გამორკვევა, თუ რა გავლენა აქვს შფოთვის დონესა და დამოუკიდებლობის ხარისხზე ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ასაკი, სქესი, მხედველობის დაქვეითების ხარისხი (მცირემხედველი / უსინათლო), საცხოვრებელი ადგილი (პანსიონში დამრჩენი, მშობლებთან ერთად მცხოვრები).

კვლევა ჩატარდა რამდენიმე ეტაპად და ის მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტებს. მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა გაფართოებულ სასწავლო გეგმაში აღწერილი დამოუკიდებელი ცხოვრების სფეროში შემავალ თითოეულ ქვესფეროზე დაყრდნობით შექმენით პრაქტიკული დავალებები, რომლებიც შეასრულეს მოსწავლეებმა. შფოთვის დონის გასაზომად კი გამოვიყენეთ Reynolds-ისა და Richmond-ის (1978) მიერ რევიზირებული ინსტრუმენტი „რას ვგრძნობ და რას განვიცდი“. ასევე, ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირ ინტერვიუები ჩავწერეთ მოსწავლეებთან და მათ აღმზრდელებთან. მიღებული ინფორმაცია დავამუშავეთ SPSS პროგრამაში.

კვლევის შედეგების მიხედვით, დადგინდა სუსტი კავშირი დამოუკიდებლობის ხარისხსა და შფოთვის დონეს შორის. ხოლო რაც შეეხება სხვა ფაქტორების გავლენას შფოთვის დონესა და დამოუკიდებლობის ხარისხზე, ასაკობრივ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა. ამასთან, სტატისტიკურად

უმნიშვნელოა მხედველობის დაქვეითების ხარისხის კორელაცია, როგორც დამოუკიდებლობის ხარისხთან, ასევე შფოთვის დონესთან. საპირისპიროდ, არსებობს კავშირი შფოთვის დონესა და სქესს შორის-გოგონებში შფოთვის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ბიჭებში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შფოთვის დონე მშობლებთან ერთად მცხოვრებ მოსწავლეებში უფრო დაბალია, ვიდრე მათ პანსიონში მცხოვრებ თანატოლებში.

ვინაიდან, აღნიშნულ სფეროში, საქართველოში ჩატარებული კვლევები ძალიან ცოტაა, კვლევის შედეგები და რეკომენდაციები გამოსადეგი და ღირებული იქნება მხედველობის დარღვევის მქონე სპეციალიზებული სკოლის პერსონალისთვის, მშობლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მხედველობის დარღვევა; შფოთვის დონე; დამოუკიდებლობის ხარისხი; მოსწავლე; აღმზრდელი; პანსიონი.

Abstract

The present work is results of the survey conducted in Tbilisi 202 public school. The study question was "the connection between the level of anxiety and the degree of independence among the pupils with visual impairment, on example of Tbilisi # 202 Public School". There is very little number of studies in this area, so the need of scientific research of the issue is great. The purpose of the research was to determine whether there was a link between the level of anxiety and the degree of independence in pupils with visual impairments. As well as, to understand how these two variables are affected by the factors such as: age, sex, condition of vision (low vision / blindness), place of residence (living at residential school, living with parents).

The survey was carried out in several stages and included both quantitative and qualitative methodology. In order to measure the level of anxiety, we used Reynolds and Richmond's (1978) revised tool, "What do I feel and what I experience?". To determine the degree of independence we conducted the semi-structured individual interviews with pupils and their educators. Also, we created practical assignments based on each subsection in the independent life sphere described in the extended curriculum of pupils with visual impairment. Practical tasks were performed by pupils, observed and measured by us. Students of Tbilisi #202 Public School (School for Blind Children) and educators participated in this study. We have used the SPSS program for data processing.

The survey results revealed the weak link between the degree of independence and the level of anxiety. As for other factors affecting the level of anxiety and the degree of independence, there is no significant difference between age groups. In addition, the correlation of the degree of visual impairment to the level of independence and the level of anxiety is statistically not significant. In contrast with this, there is a connection between the level of anxiety and place of residence. Namely, level of anxiety is lower among the children living with their parents than among their peers living in the residential school. Since the studies conducted in Georgia is very few, we hope the research results and recommendations will be helpful and valuable for specialized school personnel, parents and other interested individuals with visual disorders.

Key search keywords: Visual impairment; Anxiety level; The degree of independence; Pupil; The caregiver; Residential house.

მადლობა

მადლობას ვუხდით მარიამ მიქიაშვილს, ჩვენს სამაგისტრო ხელმძღვანელს და ანა მიქიაშვილს, თანახელმძღვანელს, რომლებიც გვეხმარებოდნენ კვლევის ყველა ეტაპზე. მათი რჩევები და რეკომენდაციები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო იყო.

ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, ბატონ ივანე კეჭაყმაძეს, მონაცემების დამუშავებაში გაწეული წვლილისთვის.

სსიპ თბილისის 202-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც დიდი ინტერესით ჩაერთვნენ კვლევაში და არ დაიზარეს ჩვენთან ერთად მუშაობა.

ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქ/ნ თამუნა ხვედელიძეს, რომელმაც მაქსიმალურად შეგვიწყო ხელი და შეგვიქმნა ყველა პირობა, რათა კვლევა წარმატებით განხორციელებულიყო აღნიშნულ სკოლაში.

სკოლის პედაგოგებს , აღმზრდელებს, ძიძებს რომლებიც დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით ჩაერთვნენ კვლევაში და გვეხმარებოდნენ საორგანიზაციო საკითხებში.